თემატური ჯგუფები:”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში” და „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა”

გაერთიანებული სხდომის ოქმი №17

26 ივლისი, 2012
თბილისი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
26 ივლისი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმების დამტკიცება
3. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის უზრუნველყოფის რეკომენდაციების განხილვა
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოსა და პროგრამის მომზადების გზამკვლევის (გაიდლაინის) განხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**	**სტატუსი**
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი

ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	წევრი
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	წევრი
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99	წევრი

	პროფესორი		
ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	a.mchedlishvili@mes.gov.ge 577 15 33 05	წევრი
ანი ქიტიაშვილი	ETF პროექტის ეროვნული კოორდინატორი	kitiashvili@yahoo.com 577 53 00 63	წევრი
მაკა კორძაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	Maka.kordzadze@eqe.ge 577 27 88 21	წევრი
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი "პანაცეა"/დირექტორის მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577747444	წევრი
ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	Nino,zhvania@iliauni.edu.ge 577 55 64 88	წევრი
მათე ტაკიძე	თბილისის პროფესიული კოლეჯი „სპექტრი", დირექტორი	takidze@rambler.ru 577 76 88 66	წევრი

ნინო კოპალეიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01	წევრი
ლელა წიფურია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი	lelatsiphuria@yahoo.com 599 65 49 80	წევრი
დიმიტრი მოლაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი	dmolashvili@gmail.com 577797950	წევრი
მაია დანელია	პროფესიული კოლეჯი "მერმისი", მიმართულების კოორდინატორი	Mdanelia01@yahoo.com 577 507737	წევრი

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმების დამტკიცება**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმები - **ოქმები თან ერთვის**

3. **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის უზრუნველყოფის რეკომენდაციების განხილვა**

<u>რეზიუმე:</u>

მარინა ჟვანიამ კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრეებს, რომ მაისის თვეში თემატური ჯგუფის სხდომაზე განხილულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შევსებული ხარისხის მართვის პროცედურების და მექანიზმების შესასწავლი კითხვარების საფუძველზე მომზადებული შეფასების დოკუმენტი. კითხვარს საფუძვლად ედო ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სარეკომენდაციო ჩარჩოს კრიტერიუმები, რომელიც ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს (დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-განვითარება).ხარისხის მართვის სისტემის შეფასება განხორციელდა 7 სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით:

- ხელმძღვანელობა
- სტუდენტები, დაინტერესებული მხარეები და შრომის ბაზარი
- პერსონალი
- პროცესების მართვა
- შიდა შეფასება, გაუმჯობესება
- გარე შეფასება
- საერთაშორისო შეფასება

თითოეული კრიტერიუმი მოიცავდა 4-5 ინდიკატორს (სულ 26 ინდიკატორი).

ინდიკატორების შეფასება ხორციელდებოდა 3 ბალიანი (0-1-2-ქულა) შკალის მიხედვით. საბოლოო შეფასებები კრიტერიუმების მიხედვით ასეთი იყო:

კრიტერიუმის დასახელება		**შეფასება**
კრიტერიუმი №1	**ხელმძღვანელობა**	**1.63**
კრიტერიუმი №2	**სტუდენტები,დაინტერესებული მხარეები და შრომის ბაზარი**	**1.13**
კრიტერიუმი №3	**პერსონალი**	**1.08**
კრიტერიუმი №4	**პროცესების მართვა**	**1.39**
კრიტერიუმი № 5	**შიდა შეფასება, გაუმჯობესება**	**1.46**
კრიტერიუმი №6	**გარე შეფასება**	**2.00**
კრიტერიუმი №7	**საერთაშორისო შეფასება**	**0.1**

შეფასების მაჩვენებლები კრიტერიუმების მიხედვით საშუალოზე მაღალი იყო, გარდა მე-7 კრიტერიუმისა, რომლის შესაბამისი ინდიკატორი (№26) პერსპექტიული ინდიკატორების რიცხვს მიეკუთვნება.

თემატური ჯგუფის მაისის სხდომაზე მიღებული დასკვნის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის შეფასების დოკუმენტის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის მექანიზმებისა და პროცედურების გასაუმჯობესებლად.

<u>**რეკომენდაციები:**</u>

სასურველია დაიგეგმოს ღონისძიებები ზოგიერთი ინდიკატორის გასაუმჯობესებლად. კერძოდ,

- გაიზარდოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობის ჩართულობა დაწესებულების პერსონალის პროფესიული

განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავებასა და დახვეწაში, რაც ეფუძნება პერსონალის კომპეტენციების მუდმივ მონიტორინგს;

- უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ჩართულობა პროფესიული განვითარების პროგრამებში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და თვითშეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრის მექანიზმები;
- შეიქმნას და გამართულად ამუშავდეს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეფექტური მექანიზმები;
- ჩამოყალიბდეს და გამართულად ამუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებული მხარეების (დამსაქმებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის/ჩართულობის მექანიზმები.

<u>შენიშვნები და მოსაზრებები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს ლალი შაიშმელაშვილმა, ქეთევან ფანჩულიძემ, მაია ჩიხლაძემ, მათე ტაკიძემ, მათი აზრით მეტად მნიშვნელოვანია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურა და კომპონენტი მუშაობდეს კოორდინირებულად, რაც საბოლოო ჯამში სრულად ასახავს არსებულ მდგომარეობას თვითშეფასების ანგარიშის შევსებისას. რიგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს ხარისხის სამსახურები, რომლებიც ხარისხთან დაკავშირებულ ყველა საკითხს კოორდინაციას უწევენ, არის საგანმანათლებლო დაწესებულებები,სადაც დირექცია კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ყველა კომპონენტს.

<u>დასკვნები და მოქმედებები:</u>

- გაერთიანდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის შეფასების დოკუმენტი და რეკომენდაციები
- საბოლოო დოკუმენტი წარედგინოს ეროვნულ პროფესიულ საბჭოს

განსახილველად

4. პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩომპროგრამისა და პროგრამის მომზადების გზამკვლევის(გაიდლაინის) განხილვა

ლალი შაიშმელაშვილმა დამსწრეებს შეახსენა, რომ ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის - "საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" - ფარგლებში მომზადდა ბუღალტრისა და ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნიმუშები და ნიმუშის მოსამზადებელი სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი. პროგრამების ნიმუშები მომზადდა ბუღალტრისა და ელექტრიკოსის მაგალითზე ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიის (DACUM) გამოყენებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის მიერ განხორციელდა პროექტის მიერ შემუშავებული დოკუმენტების ადაპტირება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემასთან, კერძოდ, პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებთან. თემატური ჯგუფის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია უკვე ცენტრის მიერ შემუშავებული ვერსიები. ჩარჩო-პროგრამა და სახელმძღვანელო პრინციპები შედგენილ იქნა, რათა:

1. ხელი შეეწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს, განავითარონ პროგრამები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიაწოდონ იმ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი და შესაბამისი დეტალები, რომლის განხორციელებასაც გეგმავენ ისინი მომდევნო აკადემიური წლის განმავლობაში.

2. ხელი შეეწყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი პროგრამების ზუსტი შესაბამისობის შეფასება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სახელმძღვანელო პრინციპებთან და პროფესიული განათლების სექტორის ხარისხის ეროვნულ და ასევე კონკრეტულ პროფესიულ

სტანდარტებთან.

სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი ეცდება დაეხმაროს პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწე დაწესებულებებს საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო-პროგრამის ნიმუშის თითოეული ნაწილის შევსებაში და უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ამ ნაწილების საუკეთესოდ შევსება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩარჩო-პროგრამის ნიმუშის შევსების დაწყებამდე პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ძალზე მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს იმ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მიზანი და დასაბუთებული ახსნა-განმარტება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს. უმნიშვნელოვანესია, რომ დაწესებულებებმა შეძლონ პროგრამების ძირითადი სამიზნე ჯგუფისა და თვით პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრა, დამსაქმებელთა თუ პროფესიულ ორგანიზაციათა სპეციფიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და მთლიანი მასშტაბის დაგეგმვას. უფრო მეტიც, თეორიულ და პრაქტიკულ შინაარსს შორის ბალანსი, განხორციელების მეთოდოლოგიები და სტუდენტთა შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისას მხედველობაში უნდა მიიღონ პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. **(დოკუმენტები დანართების სახით ოქმს თან ერთვის).**

<u>**რეკომენდაციები:**</u>

- სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნიმუშის მოსამზადებელი სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი გადაეგზავნოს ეროვნულ პროფესიული საბჭოს განსახილველად, რათა შემდგომში განთავსდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

<u>**შენიშვნები და მოსაზრებები:**</u>

გამოითქვა მოსაზრებები(მარინა ჟვანია, ქეთვან ფანჩულიძე, მაკა კორძაძე, მაია ჩიხლაძე,ნანი დალაქიშვილი), რომ არსებულ პროფესიული პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოს ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, ზოგიერთი კომპონენტი

იყო ზოგადი, საჭიროებდა დეტალიზებას, ამდენად ძალიან კარგია, რომ პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი განივრცო, დეტალური სახე მიიღო. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების პირობები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, ასევე შეფასების სისტემა, თუმცა შეიძლება შეფასების კრიტერიუმებიც და ცხრილი შეფასების სისტემის ნაწილი გახდეს, ასევე სასურველია სწავლის შედეგები ცალკე გამოიყოს. კარგი იქნება სასწავლო გეგმა გაკეთდეს ისეთი სახით, რომ თვალსაჩინოდ ჩანდეს სასწავლო კვირების მიხედვით სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და თანმიმდევრობა.

<u>დასკვნები და მოქმედებები:</u>

- სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით შეივსოს წარმოდგენილი დოკუმენტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოსამზადებელი სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი;

- დასრულებული დოკუმენტი გადაეგზავნოს ეროვნულ პროფესიულ საბჭოს განსახილველად და შემდგომში განათლებისა და მეცნიერების საამინისტროს ვებ-გვერდზე განსდათავსებლად.

დანართი 1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო

(პროექტი)

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

2.2. მინიმალური ასაკი

2.3. კვალიფიკაცია

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

3.დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

4. სწავლების პროცესის ორგანიზება

5. პროფესიული პროგრამის დანიშნულება და მიზნები

6. სასწავლო გეგმა

6.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები
ს.შ.1	
კრიტერიუმი 1.1.	
კ.1.2.	
კ.1.3.	
ს.შ.2	
კ.2.1.	
კ.2.2.	
კ.2.3.	

6.2. სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

		კრედიტი	საათების განაწილება		სულ
			საკონტაქტო საათები	დ/ა	

	სასწავლო კურსები/ მოდულები /ს ა გ ნ ე ბ ი		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება		
1.									
2.									
3.									
4.									
5.									
6.									
7.									
8.									
9.									

6.3. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

7. სწავლებისა და სწავლის მიდგომები

8. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

9. შეფასების სისტემა

9.1. პროფესიული სტუდენტის მოსწრების შეფასება

9.2. შეფასების ინსტრუმენტები

9.3. სიზუსტის ხარისხი

9.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

9.5. განმეორებითი შეფასება

10. შეფასების ცხრილი

შეფასების ცხრილი		
სწავლის შედეგები	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კონტექსტი და შესაბამისი მეთოდები
ს.შ.1		
ს.შ. 2		
ს.შ. 3		

11. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

12. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება

დანართი 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების

გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი

(პროექტი)

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

- *"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (2010);*
- *ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეცილობებისა და პროფესიულ სპეციალიზაცათა ნუსხა);*
- *შესაბამის პროფესიულ სტანდარტს.*
- *ქართულ ენაში მომზადების დარგობრივ მახასიათებელს.)*

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

(პროგრამის სახელწოდება უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსს.)

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

(მითითებულია პროფესიული სპეციალიზაცია და შესაბამისი კოდი პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვლის მიხედვით.)

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ და აისახება დიპლომში.)

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

(პროგრამის მთლიანი მოცულობა, ასევე, პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების წილი, გათვლილი კრედიტებში, შესაბამისი სასწავლო საათების რაოდენობის მითითებით.)

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

(სასწავლო პროცესის ხანგძლივობა, მითითებული თვეებში/კვირებში/დღეებში.)

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

(პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაძლოა განისაზღვროს ქვემოთ მოყვენილი პუნქტების მიხედვით, ან პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, დაწესებული იყოს განსხვავებული მოთხოვნები.)

2.1. მინიმალური განათლება

(პროგრამის წარმატებით დაძლევისათვის საჭირო წინარე ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით განსაზღვრული განათლების მინიმალური საფეხური, რაც მოეთხოვება პროგრამის გავლის მსურველს.)

2.2. მინიმალური ასაკი

(პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი განისაზღვრება "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით, ასევე პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.)

2.3. კვალიფიკაცია

(წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) კვალიფიკაციის ფლობა, ან არაფორმალური გზით შეძენილი წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება მოქმედი წესით ("პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 10[1]).)

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

(პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, დაწესებულებას შეუძლია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები (მაგ. შემოქმედებითი უნარების ფლობა) და მათ შესამოწმებლად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დაადგინოს შიდა

შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კონკურსის წესის, პირობებისა და შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და მათი ხელმისაწვდომობა პროგრამის გავლის ყველა მსურველისათვის .)

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

(ქართული ენის ცოდნა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად. ქართული ენის ფლობის დონე განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებით.)

3.დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

(პროგრამის დასრულების შემდგომი პერსპექტივები: დასაქმება, სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე, შეძენილი კვალიფიკაციის გაღრმავება თვითგანვითარებით ან შესაბამისი სასერტიფიკაციო ტრენინგებით.)

4. სწავლების პროცესის ორგანიზება

(სწავლების ფორმა და ორგანიზება დამოკიდებულია პროგრამის ხანგძლივობაზე, სწავლის შედეგებზე, პოტენციურ სტუდენტთა მოთხოვნებზე და მოიცავს:

სასწავლო კურსის განაწილებას სემესტრებად/ტრიმესტრებად და ა.შ.; სასწავლო პრაქტიკისა და თეორიული სწავლების განაწილებასა და ორგანიზებას, საწარმოო პრაქტიკის მოცულობას, ორგანიზებას და საათების განაწილებას, შემაჯამებელი შეფასებების განრიგს და სიხშირეს; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სწავლების ფორმებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.)

5. პროფესიული პროგრამის დანიშნულება და მიზნები

(პროგრამის მიზანში ზოგადად არის აღწერილი ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რაც სტუდენტებს ექნებათ პროგრამის დასრულების შემდეგ.)

6. სასწავლო გეგმა

6.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

(სწავლის შედეგებში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ის ცოდნა და უნარები, რაც კურსდამთავრებულმა უნდა გამოავლინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგებში აღიწერება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

სწავლის თითოეულ შედეგს ახლავს შესრულების კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს და როგორი უნდა იყოს შესრულების დონე. კრიტერიუმები უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიო და გაზომვადი. ამავე დროს, მითითებულია ის კურსები/მოდულები, რომლის ფარგლებშიც ხდება თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა.)

სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/ მოდულები /საგნები
ს.შ.1	
კრიტერიუმი 1.1.	
კ.1.2.	
კ.1.3.	
ს.შ.2	
კ.2.1.	
კ.2.2.	
კ.2.3.	

6.2. საგნების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილება

(საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი სამუშაო დატვირთვა, თითოეული საგნისთვის გამოყოფილი საათებისა და კრედიტების რაოდენობა, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტები. პრაქტიკული კომპონენტის წილი პროგრამაში განისაზღვრება პროფესიული სტანდარტისა და პროგრამის მიზნების შესაბამისად. პროფესიულ სტანდარტში მითითებულია პრაქტიკის მინიმალური მოცულობა, მაგრამ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის წილის გაზრდა.

დისციპლინები/საგნები გამოითვლება საათებითა და კრედიტებით. 1 კრედიტი მოიცავს 25-დან 30-მდე ასტრონომიულ საათს.)

	სასწავლო კურსები/ მოდულები /საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება		
10.									
11.									
12.									
13.									
14.									
15.									
16.									
17.									
18.									

6.3. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

(დამატებითი ინფორმაციის სახით, შესაძლოა გაკეთდეს განმარტება სასწავლო გეგმის შესახებ, საათების განაწილების, პრაქტიკული და თეორიული კურსების ორგანიზების შესახებ. დეტალური გეგმა საწარმოო პრაქტიკის და სასწავლო პრაქტიკის შესახებ აისახება შესაბამის სილაბუსში.

სილაბუსი უნდა შემუშავდეს სწავლების განმხორციელებელი დაწესებულების მიერ დამსაქმებელთან თანამშრომლობის საფუძველზე, სათანადო კანონმდებლობასთან შესაბამისობით.)

7. სწავლებისა და სწავლის მიდგომები

(პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად, სწავლებისა და სწავლის მიდგომების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის თავისებურება, პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებები და დამსაქმებელთა

მოთხოვნები. თითოეული საგნის სწავლების მეთოდიკა დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსში.)

8. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

(პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა მოიცავს:

- *ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ლაბორატორიულ მეცადინეობას;*
- *დამოუკიდებელ მეცადინეობას;*
- *სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;*
- *პროექტებზე მუშაობას;*
- *შემაჯამებელი შეფასებებისათვის მომზადებას და ჩაბარებას;*
- *სხვა დატვირთვას, რომელიც ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.)*

9. შეფასების სისტემა

9.1. პროფესიული სტუდენტის მოსწრების შეფასება

(კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება ამ მუხლის პუნქტით 2 (ა) გათვალისწინებული ერთ–ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით.
შეფასების სისტემით დასაშვებია:
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (გ) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80%;
ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;
ა.ე) (ე) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;
ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასები 41–50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;
ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს:
ა) შუალედურ შეფასებას;
ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას;
საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღის ვადაში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს.)

9.2. შეფასების ინსტრუმენტები

(შეფასების ინსტრუმენტები სათანადოდ და სანდოდ უნდა ახდენდეს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შეფასებას. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ეფუძნება შესაფასებელი უნარების სპეციფიკას.
პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები შეიძლება იყოს: პრაქტიკული სავარჯიშო; სიმულაცია; როლური თამაში; სიტუაციური ამოცანა; პროექტი და სხვა.
კოგნიტური უნარების შეფასების ინსტრუმენტები შეიძლება იყოს: ტესტი, ზეპირი გამოცდა, წერითი ნაშრომი; სიტუაციური ამოცანა, პროექტი და სხვა.)

9.3. სიზუსტის ხარისხი

(თითოეული შედეგის შეფასებისათვის შერჩეული ინსტრუმენტი უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ სიზუსტეს. განსაზღვრული უნდა იყოს ნებადართული შეცდომების რაოდენობა და მათი რანჟირება მნიშვნელოვნების მიხედვით, მინიმალური დადებითი ქულა.)

9.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

(თითოეული შეფასებისათვის ინსტრუმენტის თავისებურებიდან გამომდინარე, განსაზღვრული უნდა იყოს სათანადო დრო. სამუშაო ადგილზე არსებულ დაძაბულობათა სიმულაციის შესაქმნელად შესაძლოა საგანგებოდ დაწესდეს დროის რეგლამენტი.)

9.5. განმეორებითი შეფასება

(თუკი შეფასების განმავლობაში ვერ მოხდა კომპეტენციის მტკიცებულების დემონსტრირება, უარყოფითად შეფასებული ნაწილი ხელახლა შეფასდება.)

10. შეფასების ცხრილი

(თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები (რა ცოდნა და უნარი ფასდება), რა კონტექსტში უნდა მოხდეს შეფასება ამ კრიტერიუმების მიხედვით (მაგ. სამუშაო ადგილას, იმიტირებულ სამუშაო გარემოში და სხვა) და რა მეთოდით ხდება შეფასება.)

შეფასების ცხრილი		
სწავლის შედეგები	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კონტექსტი და შესაბამისი მეთოდები
ს.შ.1		
ს.შ. 2		
ს.შ. 3		

11. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

(დოკუმენტის სახე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია)

12. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება